ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1976
ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ
4
ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
№ 130
(16560)
ᲤᲐᲡᲘ
2 ᲙᲐ�პ.
1976

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ თათბირ-სემინარის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): Ა. ᲐᲕᲔᲠᲘᲜᲘ (ჩეჩნეთ-ინგუშეთი), Ვ. ᲝᲠᲣᲯᲔᲕᲘ (აზერბაიჯანი), Ა. ᲙᲝᲠᲝᲢᲙᲔᲕᲘᲩᲘ (ბელორუსია), Მ. ᲐᲒᲐᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘ (სომხეთი), Ზ. ᲒᲝᲠᲑᲚᲘᲙᲘ (კრასნოდარის მხარე), Რ. ᲨᲣᲠᲒᲐᲜᲝᲕᲘ (ტაჯიკეთი), Შ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ (საქართველო), Ფ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲘ (უკრაინა), Ნ. ᲛᲔᲚᲬᲘᲜᲘ (მოსკოვი); ᲥᲕᲔᲛᲝᲗ თათბირის სხდომათა დარბაზში.

ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠᲒᲘᲡᲐ და Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲛᲔᲐᲗᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ მეორე კვარტალის ბოლო თვე! არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, მტკიცე დისციპლინა თვითეული ჩვენთაგანის შინაგან მოთხოვნილებად, ცხოვრების წესად ვაქციოთ! — ეს დევიზი უნდა ახლდეს თან ჩვენს ყოველდღიურ შრომას.

ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). მაღალწყოფიერად შრომობს კაბელის ქარხნის ახალგაზრდული კოლექტივი. ხუთი სახეობის პროდუქციიდან, რომელსაც საწარმო აწარმოებს, ორ ასორტიმენტს მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, ხოლო დანარჩენს — ხარისხის პირველი კატეგორია.

სამეურნეო წლის განვლილ პერიოდში დიდად ამაღლდა წარმოების ეფექტიანობა. პირველ ოთხ თვეში ზეგეგმითმა მოგებამ ქარხანაში 64.000 მანეთი შეადგინა, რეალიზაციის დავალება 96.0 ათასი მანეთის გადამეტებით შესრულდა, ხოლო შრომისნაყოფიერება ნავარაუდევზე 0,5 პროცენტით გაიზარდა.

ამ დღეებში მწყობრში ჩადგება სამი ახალი დანადგარი სპილენძის და ალუმინის ადიდისათვის. წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადასცემენ კიდევ ორ ასეთსავე ავტომატურ დანადგარს. გარდა ამისა სრულყოფილი და მოდერნიზებულია ადრე დადგმული წნეხები, რომლებზეც დამონტაჟდა პოლონური წარმოების სადენის დამბეჭდავი ავტომატური მოწყობილობა. ასეთი სიახლის დანერგვის გზით დაიზოგა 12 მუშახელის შრომა, რის შედეგადაც წლიური ეკონომიური ეფექტი 13.200 მანეთს შეადგენს.

საწარმოს რეკონსტრუქცია — ხელახალი აღჭურვა უფრო ფართო მასშტაბით გაგრძელდება შემდგომ წლებში. ხუთწლედის დამლევს პროდუქციის გამოშვება 21,5 პროცენტით გაიზრდება, რომლის ნახევარზე მეტი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოვა.

ამ სიახლეთა დანერგვაში კოლექტივს დიდ დახმარებას უწევენ მოსკოვის უძველესი კაბელის ქარხანა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.

Ო. ᲜᲘᲥᲐᲒᲐᲫᲔ.

ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ!

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲡᲜᲝᲑᲐᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ავეჯის კომბინატ „განთიადის“ კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსთაველთა პატრიოტულ ინიციატივას და ჩაება შეჯიბრებაში, რომლის დევიზი: „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“

მეავეჯეთა შეჯიბრება ამ დღეებში ჭეშმარიტად დამკვრელურია. საწარმოს ყოველ უბანზე ებრძვიან ტექნოლოგიური დისციპლინის ამაღლებისა და სამუშაო დროის ეკონომიისათვის, ფართოვდება ლაშქრობა მომჭირნეობისა და უყირთიანობისათვის.

ახალი ინიციატივით გამოვიდა კომბინატის ფარ-დატალების საამქროს კოლექტივი, რომელმაც გადაწყვიტა მოიპოვოს მაღალი კულტურისა და სანიმუშო წესრიგის კოლექტივის სახელი.

ხარისხისნიშნიანი პროდუქციის რაოდენობის გადიდებისათვის ლაშქრობა გრძელდება.

ᲒᲔᲛᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის დამდეგიდან ბათუმის გემთმაშენებელ ქარხანაში აითვისეს ორი სახეობის ახალი პროდუქციის სერიული წარმოება. მათ შორის „ვოლგა-275“ მარკის წყალქვეშაფრთიანი, ექვსადგილიანი, მოდერნიზებული სასეირნო კატარღის წარმოება. ასეთი კატარღის ნიმუშმა ჩინებული შეფასება დაიმსახურა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰანოვერის საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენაზე.

(საქინფორმი).

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲐ — ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1976 ᲬᲚᲘ

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲨᲘ თბილისში მუშაობა დაიწყო საკავშირო თათბირ-სემინარმა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის ტექნოლოგიის, კომპლექსური მექანიზაციის, ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საკითხებზე.

თათბირ-სემინარში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის, დამზადების საკავშირო სამინისტროების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმომარაგების, საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ პასუხისმგებელი მუშაკები, მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო ინსტიტუტების დირექტორები და მეცნიერი თანამშრომლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროებსა და „სოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანებების მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები — სულ 500-მდე კაცი.

პლენარული სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ Ა. ᲔᲤᲘᲛᲝᲕᲘᲩᲘᲡ.

მოხსენება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც საქართველოს სს რესპუბლიკაში ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის, გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა Ზ. ᲞᲐᲪᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

შემდეგ მოისმინეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის Ა. ᲩᲣᲑᲐᲠᲝᲕᲘᲡ მოხსენება სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის გადაყვანის გზების შესახებ.

მოხსენება მეცხოველეობის ფერმებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების და მანქანა-მოწყობილობის ტექნოლოგიური მომსახურების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ გააკეთა საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ Ა. ᲞᲠᲝᲮᲝᲠᲝᲕᲘᲩᲘᲡ.

მოისმინეს მოხსენებანი: რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის Ნ. ᲨᲘᲗᲐᲜᲐᲫᲘᲡ — „საქართველოს სს რესპუბლიკის მეურნეობებში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის გაძღოლის სამრეწველო ტექნოლოგია“ და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის Დ. ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ — „რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის და ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცხოველეობის საწარმოო-ტექნიკური მომსახურების სფეროს გაფართოების შესახებ“.

თათბირ-სემინარი სამ დღეს გასტანს. მისი მონაწილენი ჩავლენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში, სადაც დაათვალიერებენ მექანიზებულ მეცხოველეობის კომპლექსებსა და მეფრინველეობის ფაბრიკებს, საკვებწარმოების საწარმოებს, გაეცნობიან რესპუბლიკაში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადასაყვანად მიმდინარე მუშაობას, აგრეთვე გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საქმიანობას, ფერმების მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების დარგში.

პლენარული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე Ნ. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ, სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის მინისტრი Კ. ᲒᲔᲚᲘᲐᲙᲘ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი Ნ. ᲢᲘᲨᲩᲔᲜᲙᲝ, ამხანაგები Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, Ზ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ, Გ. ᲙᲝᲚᲑᲘᲜᲘ, Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

(საქინფორმი).

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ფილიპინების დოკუმენტებს.

ერთობლივ კომუნიკეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფილიპინების რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ფილიპინების ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ; ფილიპინების რესპუბლიკის სახელით — პრეზიდენტმა ფერდინანდ ე. მარკოსმა.

სსრ კავშირის მთავრობისა და ფილიპინების რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო შეთანხმების ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის სახელით — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა; ფილიპინების რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ფინანსთა მინისტრმა ცესარ ვირატამ.

საბჭოთა კავშირ-ფილიპინების დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ვადერი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ე. დიმიჩი, ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები;

ფილიპინების მხრივ — დიდი მანილის, გუბერნატორი იმელდა რომუალდეს მარკოსი, საგარეო საქმეთა მინისტრი კარლოს პ. რომულო, მრეწველობის მინისტრი ვისენტე პატერნო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ფილიპინების რესპუბლიკის პრეზიდენტმა ფერდინანდ ე. მარკოსმა და ქალბატონმა იმელდა რომუალდეს მარკოსმა სადილი გამართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

ფილიპინების მხრივ იყვნენ პრეზიდენტის თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი.

საღილის დროს ფერდინანდ ე. მარკოსმა და ნ. ვ. პოდგორნიმ მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრნენ ფილიპინების რესპუბლიკის პრეზიდენტი ფერდინანდ ე. მარკოსი და იმელდა რომუალდეს მარკოსი. ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს პრეზიდენტი ეწვევა აგრეთვე ვოლგოგრადსა და ტაშკენტს.

აეროდრომზე ფ. მარკოსი მეუღლითურთ და სხვა სტუმრები გაეცალენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტმაზუროვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

იმავე დღეს სტუმრები ლენინგრადში ჩავიდნენ. (საკდესი).

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. 2 ივნისი. (საკდესი). ინდუსტრიული ლენინგრადი პარტიული მუშაკების, საბჭოთა მრეწველობის მეთაურებისა და ორგანიზატორების დიდი საქმიანი შეხვედრის ადგილი გახდა. დღეს აქ გაიხსნა საკავშირო სემინარი, რომელიც შეისწავლის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საქმეში ოლქის საწარმოთა გამოცდილებას.

შეკრებილნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგემ ვ. ს. ფროლოვმა.

სემინარზე გამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის მთელი რიგი საწარმოების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბატონი ჰაინრიჰ სტანდენატი მეუღლითურთ, რომელიც თბილისში იმყოფება და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოგზაურობს მათ გასაცნობად, 3 ივნისს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გ. გოლაშვილს და ესაუბრა მას.

საუბრის დროს ჰ. სტანდენატს გააცნეს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა, მისი საქმიანობა. აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და ავსტრიის მზარდი ურთიერთობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ბევრ დარგში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, დაძაბულობის შენელებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

4 ივნისს ბატონი ჰ. სტანდენატი მეუღლითურთ სოჭში მიემგზავრება. (საქინფორმი).

ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდნენ დასავლეთ გერმანიის საარის მხარის პრემიერ-მინისტრი ფრანც-იოზეფ რიოდერი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირნი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმარს სადილი გაუმართეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. პატარიძის სახელით.

სადილზე, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, ფრანც-იოზეფ რიოდერმა და ზ. პატარიძემ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს.

(საქინფორმი).

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲬᲔᲠᲐᲚ Დ. Კ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების მეოთხმოცე წლისთავთან დაკავშირებით მწერალი დემნა (დიმიტრი) კონსტანტინეს-ძე შენგელაია დაჯილდოვდეს ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ნ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ, 1976 წლის 3 ივნისი.

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

5 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ Ე. ᲛᲐᲠᲙᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲘᲛᲔᲚᲓᲐ ᲠᲝᲛᲣᲐᲚᲓᲔᲡ ᲛᲐᲠᲙᲝᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲐᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲓᲐᲜᲐᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲕᲘᲪᲔᲜᲢᲔ ᲞᲐᲢᲔᲠᲜᲝ, ᲡᲮᲕᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲚᲕᲝᲕᲨᲘ, ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ

ᲚᲕᲝᲕᲘ. 2 ივნისი. (საკდესი). ინდუსტრიული ლვოვი პარტიული მუშაკების, საბჭოთა მრეწველობის მეთაურებისა და ორგანიზატორების დიდი საქმიანი შეხვედრის ადგილი გახდა. დღეს აქ გაიხსნა საკავშირო სემინარი, რომელიც შეისწავლის პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის საქმეში ოლქის საწარმოთა გამოცდილებას.

შეკრებილნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგემ ვ. ს. ფროლოვმა.

სემინარზე გამოვიდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის მთელი რიგი საწარმოების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბატონი ჰაინრიჰ სტანდენატი მეუღლითურთ, რომელიც თბილისში იმყოფება და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოგზაურობს მათ გასაცნობად, 3 ივნისს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გ. გოლაშვილს და ესაუბრა მას.

საუბრის დროს ჰ. სტანდენატს გააცნეს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა, მისი საქმიანობა. აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და ავსტრიის მზარდი ურთიერთობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ბევრ დარგში ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, დაძაბულობის შენელებას.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

4 ივნისს ბატონი ჰ. სტანდენატი მეუღლითურთ სოჭში მიემგზავრება. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ — „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ“ — „ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲨᲕᲔᲓᲝᲑᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — „ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲣᲧᲕᲐᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, ᲠᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲫᲐᲚᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲣᲨᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ. ᲐᲛ ᲛᲝᲡᲐᲚᲐᲨᲘ („ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲐᲛᲣᲠᲖᲔ“) ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ — „ᲓᲝᲛᲑᲚᲔᲠᲘ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ“ — ᲒᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲘᲡ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ — „ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲓᲔᲑᲐ“.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

Ქ

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

ჩვენი პარტიის XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიული მუშაობის დონის ამაღლება უშუალოდ არის დამოკიდებული პარტიის საფუძვლის — პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებზე. პარტიის რაიკომები განუხრელად უნდა ამაღლებდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, ინიციატივას, აღწევდნენ ამას, რომ ისინი მეტ ზეგავლენას ახდენდნენ შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე, წარმოების ეფექტურობაზე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ზრდიდნენ ადამიანის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

შემოხვევით არ არის, რომ პარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი, რომელიც სკკპ XXV ყრილობის შემდეგ პირველად გაიმართა, სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა. მას წინ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ცაგერის რაიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მოქმედებისადმი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება. ყველა ეს ხელს უწყობს ეკონომიური ეფექტიანობის ზრდას, ეკონომიკური ამოცანების ამაღლებას. ამ გამოცდილებას პარტიული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ სეტიოზურ ამოცანათა გადასაწყვეტად, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ბოლო ხანებში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა პარტიული კრებების მომზადებასა და მოწყობას. პარტიული კრებები მაღალ დონეზე ეწყობა ცაგერისა და ორბელის კოლეგიურნეობების, სტაროა-რიდაქცის, განათლების განყოფილების ლაჯანის სკოლა-ინტერნატისა და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. მაგალითად, ორბელის კოლეგიურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და პარტიული კომიტეტის სხდომებზე აქტიურად საკითხებს იხილავენ. კრებების მომზადებაში ფართოდ იყენებენ რიგითს კომუნისტებს, რომლებიც აშკარად ამხილებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და აყენებენ საქმიან წინადადებებს მათი გამოსწორების მიზნით. პარტიულ კომიტეტის შემოღებულია კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა, ზრუნავენ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისათვის, განსორციელებული ღონისძიებების შესახებ რეგულარულად მოახსენებენ ხალხმე მომავალ პარტიულ კრებას.

მუშაობის ასეთმა სტილმა ამაღლა კომუნისტთა აქტივობა. მტკიცე კონტროლი დაუწესდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიური თვალსაზრისით კოლმეურნეობის განმტკიცებას, კოლმეურნეობებს ამაღლებას.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘ — ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ

ᲛᲘᲖᲜᲘᲗ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗ აიღო სტარტი მეორე ხუთწლედში თბილისის კომკავშირ-სართავი ფაბრიკის კოლექტივმა. ჯერ კიდევ წლის დამდეგს გადაწყდა ვადამდე დამთავრონ წლიური დავალება და დამატებით გამოუშვან 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

კომუნისტთა სრულიად საკავშირო ფორუმის მუშაობის დღეებში ეს ვალდებულება გადასინჯეს, ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, წარმოების მუშები პირობას, დებენ გამოუშვან 200 ათასი მანეთის ზედგეგმითი პროდუქცია. განსაკუთრებული ყურადღებაა დაეთმობა ნაწარმის ხარისხს.

ეს პროგრამა უკვე სრულდება. გადამეტებით გაანადღეს პირველი კვარტალის გეგმა. ვადაჭარბებულია პირველი ხარისხის პროდუქციის გაძოშვების დავალება.

ᲛᲘᲖᲜᲘᲗ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲕᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗ ᲐᲦᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, რომ პარტიული ორგანიზაციების ამაღლება უშუალოდ არის დამოკიდებული პარტიის საფუძვლის — პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებზე. პარტიის რაიკომები განუხრელად უნდა ამაღლებდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, ინიციატივას, აღწევდნენ ამას, რომ ისინი მეტ ზეგავლენას ახდენდნენ შრომითი კოლექტივების საქმიანობაზე, წარმოების ეფექტურობაზე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ზრდიდნენ ადამიანის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით.

შემოხვევით არ არის, რომ პარტიის ცაგერის რაიკომის პლენუმი, რომელიც სკკპ XXV ყრილობის შემდეგ პირველად გაიმართა, სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა. მას წინ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ცაგერის რაიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი. ამან თავისი გაჭენება მოახდინა სამეურნეო საქმიანობაზე. მეცხრე ხუთწლედის ბოლო სამი წლის მანძილზე დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტემპი. ცაგერელებმა წარმატებით შეასრულეს მეცხრე ხუთწლედის დავალებები. შარშან ცუდი ამინდი იყო, მაგრამ მეკვნახეებმა მაინც გაიღიღეს ყურძნის წარმოება, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, დიპლომი და 7.000 მანეთი პრემია დაიმსახურეს.

როგორც პლენუმზე მომხსენებელმა—პარტიის ცაგერის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. გვინასმა და კამათის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ დოკუმენტების გამოცვლამ ორგანიზებულად ჩაიარა. ამან დიდად შეუწყო ხელი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, კომუნისტთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას. ამ გამოცდილებას პარტიული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ სეტიოზურ ამოცანათა გადასაწყვეტად, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ბოლო ხანებში გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობას. პარტიული კრებები მაღალ დონეზე ეწყობა ცაგერისა და ორბელის კოლეგიურნეობების, სტაროა-რიდაქცის, განათლების განყოფილების ლაჯანის სკოლა-ინტერნატისა და სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. მაგალითად, ორბელის კოლეგიურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებებსა და პარტიული კომიტეტის სხდომებზე აქტიურად საკითხებს იხილავენ. კრებების მომზადებაში ფართოდ იყენებენ რიგითს კომუნისტებს, რომლებიც აშკარად ამხილებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და აყენებენ საქმიან წინადადებებს მათი გამოსწორების მიზნით. პარტიულ კომიტეტის შემოღებულია კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა, ზრუნავენ წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისათვის, განსორციელებული ღონისძიებების შესახებ რეგულარულად მოახსენებენ ხალხმე მომავალ პარტიულ კრებას.

მუშაობის ასეთმა სტილმა ამაღლა კომუნისტთა აქტივობა. მტკიცე კონტროლი დაუწესდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიური თვალსაზრისით კოლმეურნეობის განმტკიცებას, კოლმეურნეობებს ამაღლებას.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲛᲘ — ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲝᲑᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიათა გაერთიანებული სხდომა. მოისმინეს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება რესპუბლიკის საწარმოებში პაერისა და წყლის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა და გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად უკანასკნელი წლების მანძილზე ამ მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა.

ბევრ საწარმოში განხორციელდა გარემოს დაცვის ღონისძიებანი — (დაინერგა მტვრისა და გაზის საჭერი დანადგარები, ელექტროფილტრები და სხვ. საექსპლოატაციოდ გადაეცა წყლის საწმენდი 70 ნაგებობა.

ამასთანავე გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებანი არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, ყველა საწარმო სათანადო ყურადღებათა რეალიზაციას, რომლებიც მიზნად ისახავენ შეაჩერონ, შემდეგ კი სამუდამოდ აღმოფხვრან ომისათვის მატერიალურ-ტექნიკური მზადების პროცესი. სწორედ ამ პოზიციებიდან იხილავს მილიონობით საბჭოთა მებრძოლი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას. ხელს აწერენ რა სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას, საბჭოთა ადამიანს სწამთ, რომ ხალხის მსაჯის ხმა, მათი მტკიცე ნება თანამედროვე პოლიტიკის ფორმირების მძლავრი ფაქტორია.

(საკვლევ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲡᲘᲮᲐᲜᲡᲐᲚᲔ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲝᲑᲐ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიათა გაერთიანებული სხდომა. მოისმინეს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება რესპუბლიკის საწარმოებში პაერისა და წყლის გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა და გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად უკანასკნელი წლების მანძილზე ამ მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა.

ბევრ საწარმოში განხორციელდა გარემოს დაცვის ღონისძიებანი — (დაინერგა მტვრისა და გაზის საჭერი დანადგარები, ელექტროფილტრები და სხვ. საექსპლოატაციოდ გადაეცა წყლის საწმენდი 70 ნაგებობა.

ამასთანავე გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებანი არ შეესაბამება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, ყველა საწარმო სათანადო ყურადღებას არ უთმობს საწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და ნახმარი წყლის დაბანვე ნივთიერებებისაგან ატმოსფერული ჰაერის გაწმენდის მოწყობილობის დამონტაჟებას.

მოქმედი საწმენდი ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია. გაზრდილ მოთხოვნებს არ შეესაბამება საკანალიზაციო მეურნეობის განვითარების ტემპი. სისტემატურად არ სრულდება საკანალიზაციო და საწმენდი ნაგებობების მშენებლობის გეგმა.

კომისიებმა გადაწყვიტეს ეს საკითხი განსახილველად გადასცენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სხდომის შედეგები შეაჯამა მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ თ. მენთეშაშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

ᲨᲔᲬᲣᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲚᲔᲒᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲚᲔᲒᲐ, ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ კავშირში დაიწყო გამალებული შეიარაღების შეწყვეტის შესახებ განიარაღებისათვის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების მასობრივი კამპანია. ამ საკითხს მიეძღვნა 2 ივნისს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში გამართული პრეს-კონფერენცია.

სტოკჰოლმში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ მიღებულ მოწოდების უაღრესად ფართოდ უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს ხალხები, აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ს. ტიხონოვმა. საბჭოთა კავშირშიც მხურვალედ მოიწონეს მოწოდება — შეწყდეს გამალებული შეიარაღება, შეუქცევადი გახდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანი შეხედულებანი ამ საკითხებზე ცნობილია. ეს ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენ ბევრჯერ ვიმსჯელეთ ამ საკითხებზე

მსოფლიოს ჯგუფში

ა. ნ. კოსიგინი სირიაში

დამასკო. (საკდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მაამუდ ალ-აიუბიმ გუშინ სადილი გაუმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინს, რომელიც სირიაში მეგობრული ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. სადილზე იყვნენ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრები, მინისტრები, შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოფიცრები, სირიის თვლსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საბჭოთა ოფიციალური პირნი.

სადილზე მაამუდ ალ-აიუბიმ და ა. ნ. კოსიგინმა სიტყვები წარმოთქვეს.

დღეს აქ გრძელდებოდა ამხ. ა. ნ. კოსიგინის საუბარი არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანთან, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰ. ასადთან.

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში განიხილეს პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირსირიის ყოველმხრივი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხები. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და სირიის ურთიერთობაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის ხელსაყრელი თანამშრომლობის გაღრმავებას.

გამორთა აკრეთვე ამხრთა გაზეთრება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

დამასკო. 3 ივნისი. (საკდესი). სირიაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ეწვია ქალაქ ელ-კუნეიტრას, რომელიც 1973 წლის ომის შედეგად განთავისუფლდა ისრაელი ოკუპანტებისაგან. მას თან ახლდა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მ. ალ-აიუბი.

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ქუშ ხალხის ინტერესებისათვის

ნიუ-იორკი. (საკდესის კორ.). შეერთებულ შტატებში ფართოვდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

მოწოდებამ ცხოველი გამოხმაურება პოვა ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო ფენებში, განსაკუთრებით საკუთარ კორესპონდენტთან საუბრისას ამერიკის შეერთებული შტატების ომისმოწინააღმდეგეთა მოძრაობის თავმჯდომარე ჩინო მოღვაწემ პოლინ როზენმა. იმ მიზნებს, რომელთა მიღწევისათვის მოგვიწოდებს ეს დოკუმენტი, არ შეიძლება არ დაეთანხმოს ყველა სიღრმე მოაზროვნე ამერიკელი. მშვიდობის უზრუნველყოფა, ომის საშიშროების აღკვეთა — ეს იდეალები ძვირფასი და ახლობელია მილიონობით ადამიანისათვის. სტოკჰოლმის მოწოდება ცხოველად ეხმაურება პროგრესულ ამერიკელთა ბრძოლას გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, პენტაგონის ელექტრონიული მასშტაბიან გაბერილი ბიუჯეტის შემცირებისათვის, ხახი გაუსვა მან.

ლოს-ანჯელესსა და კლივლენდში, დეტროიტსა და ჩიკაგოში, ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ სხვა ქალაქში შექმნილია მოწოდებაზე ხელმოწერის შემგროვებელი კომიტეტები.

მაგალითად, ჩიკაგოში, თქვა პოლინ როზენმა, მარტო ერთ დღეში შეაგროვეს რამდენიმე ათასი ხელმოწერა.

მოლაპარაკება განახლდა

ჟენევა. (საკდესი). დღეს აქ განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის განყოფილების სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში მოლაპარაკებაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურს, საგანგებო დესპანს ა. ჯონსონს.

ჟენევა

გულისწყრომით გმოგენ

მსოფლიოს საზოგადოებრიობა პროტესტს უცხადებს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას, რომელსაც განზრახული აქვს თავისი გენერალური ასამბლეის მორიგი სესია გამართოს ჩილეში — ქვეყანაში, სადაც ფაშისტური დიქტატურაა გამეფებული.

ლიმა. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის ჩილეს დედაქალაქში მოწვევა ცინიკური ცდაა, რომ მოჩვენებითი „კანონიერება“ მიანიჭონ პინოჩეტის რეჟიმს, ნათქვამია ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქ გავრცელებულ განცხადებაში. მისი სანტიაგოში მოწვევის გადაწყვეტილება იმპერიალიზმისა და ამერიკის კონტინენტის ყველაზე რეაქციული თავაზრობების საქმეა, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ დაძაბულობის შენელების პროცესს და შეაკოწიწონ სახელმწიფო პოლიტიკური ბლოკი. სინტიაგოში ამ ქვეყნებს განზრახული აქვთ შეიმუშაონ ახალი პროვოკაციებს გეგმები სოციალისტური კუბისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის კურსით მიდიან.

ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ლათინური ამერიკის დემოკრატიულ პატრიოტულ ძალებს შეკავშირდნენ ერთიან ანტიფაშისტურ ფრონტად, რათა ჯერჯერობით წინააღმდეგობა გაუწიონ რეაქციონერთა ხრიკებს.

კარაკასი. ჩილეს დედაქალაქში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის მოწყობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას გადაჭრით გმობს თავის გამოსვლაში ვენესუელის კომპარტია.

ვენესუელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში ხაზგასმულია, რომ სესიის ორგანიზატორთა მიზანია გაამართლონ პინოჩეტის რეჟიმი, რომელიც აძლიერებს რეპრესიებს, ჩაახშო ქვეყანაში ადამიანის ელემენტარული უფლებები, საპატიმროებში დაამწყვდია ათასობით პატრიოტი, მათ შორის ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი.

სანტიაგოში სესიის მოწყობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ აგრეთვე ვენესუელას კომპარტიის, დემოკრატიული მოქმედების მმართველი პარტიის, სოციალ-ქრისტიანული პარტიის — კოპეის ახალგაზრდული ორგანიზაციები და ქვეყნის მთელი რიგი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები.

პინოჩეტის ხუნტის იზოლაციი მოითხოვეს ვენესუელის მშრომელთა კონფედერაციამ, რომელიც მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს, და სხვა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

კოპენჰაგენი. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის სანტიაგოში გამართვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ძალიერ გმობს დანიის გაზეთი „ინფორმაციონი“. იგი აღნიშნავს, რომ ჩილეს დედაქალაქში სესიის მოწყობა გაუწევს ფინანსურ მხარდაჭერაა.

(საკდესი).

ფოტოპარატით ანგოლაში

უცხოეთის ინტერვენციისა და შინაგანი რეაქციის უკანასკნელი კერების მოსპობის შემდეგ, ანგოლის ხალხი ერთსულოვნად გაერთიანდა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ორგანიზაციის (მპლას) დროშით და შეუდგა ახალი საზოგადოების შენებას. საბჭოთა კავშირისა და ანგოლის რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებამ ახალი მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის შემდგომ კეთილდღეობას.

სურათზე: ქალაქ უამბოს მცხოვრებთა მიტინგი, რომლის მონაწილეობაც სოლიდარობას უცხადებენ ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ორგანიზაციას.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს — ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.



ანგოლის ხალხის მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლებმა უცხოეთის ინტერვენციისა და შინაგან რეაქციულ ძალებთან ბევრი ოჯახი დაანგრია — და ძმას ეძებდა, შვილი — დედას... ახლა, როცა რესპუბლიკაში მშვიდობიანი დღეები დადგა, ახლობლები და ნათესავები ერთმანეთს ხვდებიან.

სურათზე: ზემოთ — ამ ოჯახის წევრები დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ქალაქ უამბოში.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ფოტო.

სიტყვა—ცხოვრებასთან!

ბათუმი. 3 ივნისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). კარგა ხანია აქარის ასსრ დედაქალაქი ბათუმი არ ყოფილა მწერალთა ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმის მოწმე. ამ დღეებში აქ მიმდინარეობს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამესვლელი გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მისაღებად თბილისიდან ჩამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ზამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე, გამგეობის მდივნები ნ. დუმბაძე, ი. ონრნშვილი, მწერლები ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ე. მაღრაძე, მ. ფოცხიშვილი, გ. ცოცაშვილი, ვ. ჭელიძე, რ. ჯაფარიძე.

პრეზიდიუმის პირველი სხდომა, რომელიც პარტიის აქარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა 3 ივნისს, გახსნა გრ. აბაშიძემ. მოისმინეს ორი მოხსენება: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გამესვლელი გაფართოებული სხდომა, ფრ. ხალვაშისა განყოფილების მუშაობის შესახებ და „ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორის ა. შონიასი — ჟურნალის მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: მ. გურშანიძე, გ. ცაცაშვილი, ჯ. ჯაჟელი, ა. სამსონია, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, შ. როყვა, ბ. ფოცხიშვილი, რ. ჯაფარიძე, ე. მაღრაძე, გ. ასათიანი, ა. ჩხაიძე, ი. მელია, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

გამესვლელი პრეზიდიუმის სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, ფრ. ხალვაშისა განყოფილების მუშაობის შესახებ და „ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორის ა. შონიასი — ჟურნალის მუშაობის შესახებ.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: მ. გურშანიძე, გ. ცაცაშვილი, ჯ. ჯაჟელი, ა. სამსონია, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, შ. როყვა, ბ. ფოცხიშვილი, რ. ჯაფარიძე, ე. მაღრაძე, გ. ასათიანი, ა. ჩხაიძე, ი. მელია, პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

გამესვლელი პრეზიდიუმის სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის ზამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე.

ბოლოს, 4 ივნისს პრეზიდიუმის გამესვლელი სხდომის მონაწილეები ეწვევიან აქარის რაიონების მშრომელებს და გაეცნობიან მათს საქმიანობას. 5 ივნისს გაიმართება მწერალთა შეხვედრა საქართველოს სახლეთა. სანათესოს მეზღვაურებთან, ხოლო საღამოს ქალაქის კულტურის სასახლეში — პრეზიდიუმის დასკვნითი სხდომა.

მ. გოგბილაძე.

ფინელი სტუმრები

საქართველოში ხუთ დღეს იყო ფინეთის სახალხო-საგანმანათლებლო ორგანიზაციების გაერთიანების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ მოწვევით ჩამოვიდა. დელეგაციას მეთაურობდა ორიგესის სახალხო სასწავლებლის რექტორი, ფინეთის სახალხო-საგანმანათლებლო ორგანიზაციების გაერთიანების თავმჯდომარე სიუანგო პაავა.

დელეგაცია შეხვდა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ხელმძღვანელებსა და აქტივს. სტუმრებს სახოგადოების მუშაობა გააცნო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. გოგბერიძემ.

გაიმართა აკრეთვე დელეგაციის წევრთა შეხვედრა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დაუსწრებელი და საღამოს სწავლების სამმართველოს მუშაკებთან. ფინელი სტუმრები იყვნენ საქართველოს პროფსაბჭომა. პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია მათ ესაუბრა რესპუბლიკის პროფკავშირთა კულტურის სასახლეებთან არსებული საზოგადოებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობაზე. ფინეთის განათლების მოღვაწენი გაეცნენ თელავის რაიონის სოფელ იყალთოს სასალხო უნივერსიტეტის მუშაობას, აგრეთვე ამას, თუ როგორ არის დაყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა აქარის ასსრ მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობაში.

ბათუმიდან დელეგაცია მოსკოვს გაემგზავრა. (საქინფორმი).

ლესინგი — ჩვენი თანამედროვე

„ნათან ბრძენი“ — საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი

უწინარეს ყოვლისა ადამიანი და მერე — ქრისტიანი, ებრაელი თუ მაჰმადიანი, — ამბობს ლესინგის ნათანი და ეს აზრი დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც ამ ორი საუკუნის წინათ იყო. ამ ქმედნად ყველა მოძღვრება ადამიანის კეთილდღეობის სახელით იბადება, მაგრამ მერე ზოგიერთი მოძღვრება ამ კეთილდღეობის მოსაპოვებლად და გასამტკიცებლად იმდენ სისხლს ღვრის, რომ ადარაფის სჯერა მისი სიკეთისა. უფრო მეტიც. მისი სისხლიანი სახე თავზარს გვგვრის. ლესინგის ნათანი ამ კუთხითაც ფრიად საყურადღებო პერსონაჟია, რამეთუ იგი თავის ახლს, შეხედულებას ძალად კი არ ახვევს თავზე სხვებს, არამედ შთაგონებით. ნათანის იარაღი აზრია, ნიტყვიერი მიტანილი მოწინააღმდეგის შეგნებამდე.

ვინაიდან ჩინებულად უწყის, მასკილით მიტანილი აზრი თავად არის უკვე ბოროტება. ბუნებრივია, ნათანში გაცხადებული თავად ლესინგის მრწამსი.

ქართველი მაყურებელი უკვე კარგად იცნობს ლესინგის „ნათან ბრძენს“ დადგმულს რუსთაველის თეატრში გერმანელი რეჟისორის შერნერ პასსმუთის მიერ. და ახლა მას საშუალება მიეცა ენახა ეს წარმოდგენა ბერლინელი მსახიობების მიერ განხორციელებული.

ამ ერთი წარმოდგენის გარდა, სხვა სპექტაკლები, დადგმული გერნერ ვაკსმუთის მიერ, მე არ მინახავს. მაგრამ მაინც მინდა გავოვყო სამი პუნქტი, რომელნიც, ჩემი შთაბეჭდილებით, ახასიათებენ ვაკსმუთის რეჟისორულ საქმიანობას.

პირველი: იგი ბუნებრივ ატმოსფეროს ქმნის სცენაზე, ცდილობს არაერთი გადატვირთოს. იგი, რომ აზრიანი უბრალოების საშუალებით თავისუფლად აღიქვას მაყურებელმა წარმოდგენის დედააზრი. ამ მიზანს უმორჩილებს იგი როგორც სცენოგრაფიას, ისე მუსიკალურ გაფორმებას.

მხატვარ ვალტერ ია რაისის დეკორაცია ერთი შეხედვით უბრალოა, მაგრამ ზუსტად ქმნის ატმოსფეროს, როგორც გეოგრაფიული, ისე ეპოქის კოლორიტის თვალსაზრისით. რაციონალური დეკორაციული გაფორმება ხელს უწყობს მსახიობს ლაღად და თავისუფლად იგრძნოს თავი სცენაზე. ამასთანავე დეკორაცია საჭიროველოდ სასიამოვნოა მაყურებლისათვის.

ასევე უბრალო და ზუსტია მუსიკალური გაფორმებაც. ბახისა. და XV საუკუნის უცნობი ავტორის მუსიკა ხატავს ორ სამყაროს — ქრისტიანულსა და მაჰმადიანურს. მაგრამ ეს არ არის მუსიკალური ილუსტრაცია. მიუხედავად განსხვავებულობისა, მუსიკა ამ ორ სამყაროს წინააღმდეგობას კი არ აჩვენებს, არამედ მათ ჰარმონიულობას. ამით ლესინგის პიესის აზრი კიდევ უფრო რელეფური ხდება.

ასე უმორჩილებს რეჟისორი ყველა კომპონენტს საერთო ნანაფიქრს.

მეორე: სპექტაკლის აზრს რეჟისორი გამოთქვამს უფრო ლოგიკური სიცხადით, ვიდრე ემოციური კონტაქტით. შეიძლება ეს არ იყოს საერთოდ დამახასიათებელი ვაკსმუთის შემოქმედებისათვის და მხოლოდ ამ წარმოდგენაში გაკეთებული აუცილებლობის გამო. ალბათ იგი საჭიროა იმ სენტიმენტალიზმის შესასუსტებლად, რაც არის „ნათან ბრძენში“ (განსაკუთრებით ფინალში) და, რაც დამახასიათებელია საერთოდ ლესინგის ეპოქის ლიტერატურისათვის. ამას ისიც მაფიქრებინებს, რომ რეჟისორმა ქართულ წარმოდგენას (გერმანულს იგი არა აქვს) ჩარჩო გაუკეთა. ჩარჩოში გამოყენებულია ნიღბები და ჭორეოგრაფიული სურათი, რომლის გონიერი და თბილი ირონია გვეუბნება — ეს ამბავი საგანგებოდ გაკეთამამეთო.

მესამე: რეჟისორი წარმოდგენის ყოველ დეტალს პროფესიული კეთილსინდისიერებით ამუშავებს. მისთვის არ არსებობს პირველი და მეორე ხარისხოვანი. ყველაფერი თანაბრად და მაღალ დონეზე უნდა იყოს გაკეთებული. ეს წარმოდგენის მთლიანობასა და კულტურულობას (ამ სიტყვას ხაზს ვუსვამ) ანიჭებს.

რა თქმა უნდა, თვითეული პერსონაჟის ბუნება, ბედი და ხასიათი ლესინგის მიერ ჩაფიფად და მსუყედ არის დახატული. მოქმედ პირთაგან უპირველესად სამნი — ნათანი, ეკლესიის რაინდი და სულთანი სალადინი — უნდა გამოვყოთ. ისინი არიან არა მარტო სამი, ურთიერთდაპირისპირებული რელიგიის წარმომადგენელი, არამედ წარმოების დეიდაზრის გამოხატველნიც.

ნათანის როლს მსახიობი ვილკიტ გროელი ასრულებს. გროელის ნათანი ჭკვიანი და ფრთხილი კაცია. მტრულ გარემოში ცხოვრობს. ამიტომ ბეწვის ხიდზე უნდა იაროს, არსებობა რომ შეინარჩუნოს. მაგრამ ნათანისათვის არსებობას მაშინ აქვს ფასი, როცა სიკეთეს დათესავს. ამ მაღალი საქმისთვის ჭირდება მას ტკბილი, სიფრთხილე და გამოცდილებამ ვილკიტ გროელი ხაზგასმით წარმოგვიდგენს ნათანის გარეგნულ სიმშვიდეს. იგი მშვიდია მაშინაც, როცა შინაგანად აფორიაქებული და დაბაზულია. სიმშვიდე მისი ფარი და ბრძოლის იარაღია. ჩემი აზრით, ვილკიტ გროელისათვის ნათანის სახის შესაქმნელად ამოსავალია ორი დებულება, რომელსაც ეხარელი ბრძენი წარმოთქვამს. ბიბლეი, ნათანი ეძიებს ადამიანს, „რომელიც იმით იქნება კმაყოფილი, რომ მას ადამიანი ჰქვია“ და მეორე, იგის, რომ „ყეთილ“ შობს ყველა ქვეყანაა“. გროელის ნათანი კმაყოფილია, რომ ადამიანი ჰქვიან და, მიუხედავად აუოცებელი სიმდიდრისა, ამაოებას არც ეძებს და არც ეტრფვის. ადამიანს ენდობა, რამეთუ კეთილ ყველგან არის. ეს მისი სიმშვიდის წყაროც ორის და ნდობისაც. ამიტომ შეუძლია მას ყოველგვარ სიტუაციიმი გონებით განსჯოს და სწორი დასკვნა გამოიტანოს.

პიესის დასასრულს ნათანი იმარჯვებს. მაგრამ ამ გამარჯვებას ლესინგი არ ხატავს, როგორც მხოლოდ ნათანის სიბრძნის შედეგს. მწერალი სიკეთის ზეიმს წარმოგვიდგენს, როგორც ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებას, რადგან ეკლესიის რაინდიც და სალადინიც შინაგანად მზად არიან სიკეთისთვის (მარადდება დებულება — „კეთილ შობს ყველა ქვეყანა“).

ქრისტიანული ეკლესიის რაინდმა ებრაელი ქალი გადაარჩინა. ბუნებით ჩაწერგილმა სიკეთემ სძლია ალზრდით შეძენილ ბორკილებს. ამ საქციელმა რაინდში შინაგანი წინააღმდეგობა დაბადა. რაინდის როლის შემსრულებელი მაშინას კნიპშპეკი სახიერად ხატავს გაორებულ კაცს. იგი დაბნეულია, ზოგჯერ ისტერიულიც. ცდილობს ყველას და ყველაფერს გაექცეს. ამით მოიპოვოს დაკარგული სიმშვიდე, მაგრამ ეს ამაო ცდაა, ეს გაორება მის სულიერ სამყაროში და ჯერაც არავინ გაქცევია თავის თავს. ამიტომ მან თავად უნდა გაკეთოს დასკვნა — რას მიემართოს, რა ირწმუნოს. მთიას კნიპშეკის რაინდი ბოლომდე გაორებული და შინაგანი კომფლიქტით აფორიაქებული რჩება. რჩება მანამდე, სანამ ყველა საოლქოლოს ფირდა არ აეხდება.

გაორებულია სულთანი სალადინიც. მდგომარეობა აიძულებს თბოვნით მიმართოს ებრაელს. ეს არყევს მის რწმენას, ბზარავს მის მეხედულებებს. ეს განსაზღვრავს რანინპარდ მეზნიკის სალადინის ნერვიულობას. ეს ბრძოლა ბოლოს ბოლოს ადამიანურ ბედნიერებად ექცევა. ეს ბრძოლა ადამიანურ ბედნიერებად ექცევა. ეს ბრძოლა ადამიანურ ბედნიერებად ექცევა.

**ეს ბრძოლა

სსრ კავშირის კირაღ-გუნდური ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში

ეროვნულ ფერიები...

● გალიმა შუგუროვასა და ირინე დერიუგინას — შეჯიბრების „ყველა ოქრო“ ● ლალი დოლიძის ბრინჯაოს მედალი ● გარდამავალი თასი — კვლავ რუსეთის ფედერაციის გუნდს.

თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ უკანასკნელად გაისმა არგენტინული ტანგო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის გალიმა შუგუროვას „მესრულებით“. სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ირინე დერიუგინამ ამ დღეს მოგვხიბლა ესპანური და მთიულური „ცეკვებით“, ნატალია კრაშენინოვამ — ცეცხლოვანი მარიტანულით, ოღონ რაბინოვიჩმა — „ხიბინური რუსული „კალინკათი“...

მხატვრული ტანვარჯიშის საუკეთესო ოსტატები ეცილებოდნენ ერთმანეთს შეჯიბრების უკანასკნელ დღეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას მრავალჯიდის ცალკეულ სახეობებში.

უნდა თქვას, რომ ამ დასკვნითი ასპარეზობის წინ უპირატესობა ი. დერიუგინასა ჰქონდა, რომელიც წინასწარი შედეგების მიხედვით ხუთიდან სამ სახეობას იგებდა — ვარჯიშს გურზებით, რგოლითა და ზონრით, ხოლო დანარჩენ ორში უმაღლესი მაჩვენებელი ჰქონდა გ. შუგუროვასთან ერთად.

...პირველად სარბიელზე გურზებით მოახპარეზე რვა ფინალისტი გამოვიდა. ი. დერიუგინამ ვარჯიშის მაღალოსტატური შესრულებით თავისი წინასწარი შედეგი გაიმეორა (9,75 ქულა), ხოლო მისმა ძირითადმა მეტოქემ გ. შუგუროვამ მიიღო 9,35. ამრიგად, კიეველმა მრავალჯიდის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა — 19,5 ქულა.

დიდი ინტერესით ადევნებდნენ მაყურებლები თვალყურს უსაგნოდ ვარჯიშს. საქმე ის არის, რომ ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ორმა ქართველმა ტანმოვარჯიშემ მოიპოვა — რესპუბლიკის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ლალი დოლიძემ და ოსტატობის კანდიდატმა ირინე გაბაშვილმა (წინასწარი შედეგები — შესაბამისად 9,1 და 9,05 ქულა). მათს სასახელოდ უნდა თქვას, რომ ორივემ კვლავ წარმატებით იასპარეზა (9,1 ქულა თვითეულს). ლ. დოლიძემ 18,2 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო ახალგაზრდა ნიჭიერ ერიკა შილერთან (ტაჯიკეთი) ერთად და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ი. გაბაშვილი მეხუთე ადგილზე გამოვიდა — 18,15 ქულა.

მრავალჯიდის ამ სახეობაში ი. დერიუგინასა და გ. შუგუროვას „დუელი“ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სასარგებლოდ დამთავრდა — 9,45 ქულა, საერთო ჯამში 18,65. ი. დერიუგინა მეორე ადგილზე გამოვიდა — 9,25 (18,45 ქულა).

მხურვალე ტაში მოსწყდა ტრიბუნებს, როდესაც გ. შუგუროვამ დაამთავრა ბურთით ვარჯიში. მისი ოსტატობის საფასური უმაღლესი იყო — 10 ქულა! ეს შედეგი საუკეთესო გახლდათ არა მარტო ამ დღეს, არამედ მთელი ჩემპიონატის მაპაიზზე. ი. დერიუგინამ 9,85 ქულა მოაგროვა და 0,15 ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს.

მესამე „ოქრო“ გალიმა შუგუროვამ მოიპოვა რგოლით ვარჯიშში, რომელიც მეტად ეფექტური ილეთით დაამთავრა — 9,95, საერთო ჯამში კი 19,75 ქულა. მეორე ადგილზე გამოსული ი. დერიუგინას შედეგები 9,85 და 19,7 ქულა.

უკანასკნელ ვარჯიშს შეჯიბრების მონაწილენი ზონრით ასრულებდნენ. კვლავ დიდი მოწონება ხვდა ჩვენი მხატვრული ტანვარჯიშის ლიდერების გამოსვლას. ორივემ ერთნაირი შეფასება — 9,85 ქულა დაიმსახურა, მაგრამ ვინაიდან ი. დერიუგინას (იგი ახლა ესპანური „პასოდობლით“ გამოვიდა) უკეთესი წინასწარი შედეგი ჰქონდა, ოქროს მედალიც მას გადაეცა — 19,8 ქულა. გ. შუგუროვას არგენტინელმა „ტანგომ“ საერთო ჯამში 19,45 ქულა და მეორე ადგილი მოუტანა.

...მედლებსა და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემდნენ საზეიმო ცერემონიალის დროს საუკეთესოთა ეორს საუკეთესოებს. ჰიმნის დიდებულმა მელოდიამ აავსო დარბაზი — გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე იდგნენ მომხიბლავი, გრაციოზული გოგონები, რომლებმაც ოთხი დღის განმავლობაში დაბვეწილი, უბადლო ოსტატობით მართლაც მონადირეს თბილისელთა გულები. მძლავრი პროექტორების სხივები ეალერსებოდა ბროლის თასს, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაკრების სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებულ ტანმოვარჯიშეებს ეკავთ ხელში... სასახლის მაღალი თაღიდან ნელ-ნელა ეშვებოდა 27-ე საკავშირო ჩემპიონატის დროშა. ეს საპატიო მისია ამჯერად დაკისრებული ჰქონდა გრანდიოზული სპორტული სანახაობის პირველ ლაურეატს— მხატვრული ტანვარჯიშის ჭეშმარიტ დედოფალს ირინე დერიუგინას.

ო. ნოზაძე.

ინტერვიუ

ვალენტინა ბატალინი,

საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი:

ეუბნებიან, საერთო აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ჩემპიონატი თბილისში, როგორც სპორტული, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით მარცხად მაღალ დონეზე ჩატარდა. ალბათ, მასპინძლებიც კმაყოფილნი უნდა იყვნენ. საქართველოს გუნდმა „ამ ქვეყნის უძლიერესებთან“ ჭიდილში ხომ სპატიო მეექვსე ადგილი მოიპოვა. ლალი დოლიძემ მკერდი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა, და იგი საკავშირო ნაკრებში შევიყვანეთ (მრავალჯიდში ლალი მე-12 იყო), ხოლო 16 წლის ირინე გაბაშვილმა სპორტის ოსტატობის ნორმა შეასრულა. მართლაც რომ კარგი ნადავლია — ქართულ მხატვრულ ტანვარჯიშს ასეთი დიდი წარმატება ჯერ არ ჰქონია!

ირინე დერიუგინა,

საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი:

შეინარჩუნო საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა, ამაზე სასურველი სპორტსმენისათვის აბა რა უნდა იყოს. ცხადია, კმაყოფილი ვარ თბილისის სპორტის სასახლის „კედლებით“. კარგად გამოვედი ჩემს საყვარელ სახეობაში — ზონრით ვარჯიშში და... კვლავ უსიამოვნო გრძნობა მიმყვება რგოლის გახსენებაზე, რომელიც მაინდამაინც არასოდეს მიზიდავდა. მართლაც შესანიშნავი გოგონები ეზრდება ქართულ მხატვრულ ტანვარჯიშს. პირველ რიგში, ცხადია, დავსახელებ უფროს ლალი დოლიძეს და ირინე გაბაშვილს, აგრეთვე 15 წლის მარინე მორბედაძეს. ეს ნიჭიერი გოგონა სპორტის ოსტატობის კანდიდატია მხატვრულ ტანვარჯიშში და ფიგურულ ციგურაობაში. შარშან თბილისში, საკავშირო ნაკრების საჩვენებელი გამოსვლის დროს, მას ჩემი რგოლი ვაჩუქე, მაგრამ მარინეს გასტეხია იგი და ამიტომ ახლა ახალი რგოლი ვუსახსოვრე. დაე, მან მხოლოდ გამარჯვებები მოუტანოს მის ახალ მფლობელს.

გალიმა შუგუროვა,

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი:

გამოჩნდებიან, მშობლიურ ოჩამჩირეში თბილისიდან სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის დიდი ოქროს მედლის წაღებაზე ვოცნებობდი, მაგრამ... მედალი ხომ მხოლოდ ერთია და იგი ღირსეულმა დასაკუთრა. ვფიქრობ, ჩვენი დავა ბაზელში (შვეიცარია), მსოფლიოს მორიგ 1977 წლის ჩემპიონატზე გაგრძელდება. სამაგიეროდ, აქ მე სამი ოქროს მედალი მოვიპოვე ხუთი გათამაშებულიდან და, შეიძლება ითქვას, მხატვრულ ტანვარჯიშში თბილისის სპორტის სასახლის „რეკორდი“ დავამყარე, როდესაც 10 ქულა მივიღე ბურთით ვარჯიშში. ჩემი გულწრფელი სურვილია: თქვენმა მაყურებელმა ისევე შეიყვაროს სპორტის ეს სახეობა, როგორც, ვთქვათ, ქართველებს ფეხბურთი, ჭიდაობა და კალათბურთი. უყვართ!



ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ხელბურთი. იუგოსლავიის ქალაქ ნიშში დაიწყო ქვეყნის ღია ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა ნაკრებიც მონაწილეობს. პირველ მატჩში ჩვენმა ხელბურთელებმა ანგარიშით 23:21 (10:10) დაამარცხეს პოლონეთის ნაკრები.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ხარკოველმა სერგეი კრაკეოვმა მესამე ადგილი მოიპოვა დანის ქალაქ ორხუსის ტრეკზე მიმდინარე სპრინტერთა საერთაშორისო შეჯიბრებაში. მან მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს, ფრანგ დანიელ მორელონს. პირველობა კი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა — ჩეხოსლოვაკელმა ანტონ ტკაჩმა.

ᲪᲣᲩᲕᲐ. ზაპოროჟიელმა ვლადიმერ რასაკატოვმა კიევში მიმდინარე ქვეყნის ჩემპიონატზე ევროპისა და სსრ კავშირის ახალი რეკორდები დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 3 წუთი და 58,02 წამი. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე საკავშირო რეკორდი გაუუჯობესა ირინე ვლასოვამ (ივანოვო) — 4 წუთი და 24,42 წამი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. ცნობილი გახდა, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველი ფინალური ატჩი სსრ კავშირისა და უნგრეთის ახალგაზრდულ გუნდებს (მოთამაშეთა ასაკი 23 წლამდე) შორის გაიმართება 19 ივნისს ბუდაპეშტში, ხოლო საასუხო — 23 ივნისს მოსკოვში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებული რუსეთის ფედერაციის პირველი ნაკრები. თასით ხელში გუნდის კაპიტანი ᲑᲐᲚᲘᲜᲐ ᲨᲐᲤᲠᲝᲕᲐ, ქვემოთ — უსაგნოდ ვარჯიშში ხაკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ᲚᲐᲚᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲘ.

მ. ᲨᲐᲠᲑᲐᲠᲘᲜᲘᲡ ფოტო.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲐᲞᲐᲑᲚᲐᲜᲙᲐᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲙᲐᲞᲐᲑᲚᲐᲜᲙᲐᲡ მემორიალზე პირველი ადგილის ძირითადი პრეტენდენტები კვლავინდებურად დიდოსტატები ᲒᲣᲚᲙᲝ (საბჭოთა კავშირი) და სიგურიონსონი (ისლანდია) არიან. 11 ტურის შემდეგ გულკომ 7,5 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა. სიგურიონსონი მას ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ᲒᲐᲒᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲖᲠᲘᲜᲯᲐᲕᲨᲘ (პოლონეთი) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის ქვეყნების დიდოსტატები და ოსტატები მონაწილეობდნენ. პირველი ადგილი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ᲑᲐᲒᲘᲠᲝᲕᲘᲡ (საბჭოთა კავშირი). მეორე ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ფარაგო (უნგრეთი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲔ ტურმა პირველი მარცხი მოუტანა ოსტატ კობაიძესა და ოსტატების კანდიდატ ითსელიანს. ამასთან ნორჩი ნ. მელაშვილი კობაიძესთან მოგების შემდეგ შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი გახდა, ხოლო ითსელიანთან გამარჯვების შემდეგ ნორჩმა გორელმა ქასომელიძე მკვეთრად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. კვლავ წარუმატებლად გამოდის საქართველოს ჩემპიონი ოსტატი ხუციშვილი, რომელმაც უკვე მეორე პარტია წააგო — ამჯერად ქ. გეგიაქსთან.

4 ტურის შემდეგ 2,5 ქულით და ერთი გადადებული პარტიით პირველ ადგილზეა საერთაშორისო ოსტატი ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲘᲐᲜᲘ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲮᲝᲠᲐᲯᲓᲝᲛ“ — „ᲖᲕᲔᲖᲓᲐ“

ᲑᲣᲜᲘᲜ ქუთაისში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „ტორაჯდომსა“ და პერმის „ზვეზდას“ შორის.

ანგარიშით 3:2 (0:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბურთები გაიტანეს ჩახუნაშვილმა, სტაფიოროვმა (ორი) და ბურკაძემ.

ტორაჯდომელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გაბელია, კოსტავა, სულაქველიძე, ხუციელავა (ჩახუნაშვილი), ჭოსნელიძე, ქვარია, ოქროპირაშვილი, ფარულავა, ბურკაძე, ხერხაძე, შელია (გაბიჩვაძე).

რედაქტორი
დ. ᲛᲔᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი



აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1976-77 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

I. სწავლება წარმოებისაგან მოწყვეტით

საამშენებლო ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 518 ოთახი).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები); 2. სამშენებლო ნაგებობათა და კონსტრუქციების წარმოება (ქართული სექტორი); 3. მშენებლობა (ინჟინერ-პედაგოგები) (ქართული სექტორი).

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 140 ოთახი).

1. ელექტრული სადგურები (ქართული სექტორი); 2. ელექტრული სისტემები (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული და რუსული სექტორები); 4. თბოელექტროსადგურები (ქართული სექტორი); 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი); 6. ელექტროამძრავ და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი.

ᲡᲐᲛᲗᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 124 ოთახი).

1. სამარკშეიდერო საქმე; 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია; 3. მარგი წიაღისეულის გამდიდრება; 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა; 5. სამთო მანქანები და კომპლექსები; 6. სამთო საწარმოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორები).

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 202 ოთახი).

1. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 2. ელექტროქიმიური წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი); 3. მჟიდა მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 5. კერამიკისა და ცეცხლმედეგი მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 6. მინისა და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 524 ოთახი).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. თვითმფრინავმშენებლობა; 3. სამაგავრო და საკომბრესორო მანქანები და მოწყობილობანი. (ქართული და რუსული სექტორები); 4. მანქანათმშენებლობა (ინჟინერ-პედაგოგები) (ქართული სექტორი).

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 229 ოთახი)

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი); 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართული და რუსული სექტორები); 3. ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმიული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები); 4. ლითონების წნევით დამუშავება (ქართული სექტორი).

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, II სართული, 260 ოთახი).

1. საინფორმაციო საზომი ტექნიკა; 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა; 3. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები; 4. მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული და რუსული სექტორები).

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 524 ოთახი).

1. ელექტრული სადგურები (ქართული სექტორი); 2. ელექტრული სისტემები (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული და რუსული სექტორები); 4. თბოელექტროსადგურები (ქართული სექტორი); 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი); 6. ელექტროამძრავ და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

ᲡᲐᲛᲗᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 124 ოთახი).

1. სამარკშეიდერო საქმე; 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია; 3. მარგი წიაღისეულის გამდიდრება; 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა; 5. სამთო მანქანები და კომპლექსები; 6. სამთო საწარმოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორები).

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 202 ოთახი).

1. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 2. ელექტროქიმიური წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი); 3. მჟიდა მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 5. კერამიკისა და ცეცხლმედეგი მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 6. მინისა და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი);

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. № 75. III კორპუსი, III სართული, ოთახი 325).

1. ელექტრული მანქანები (ქართული და რუსული სექტორები); 2. ელექტროსაიზოლაციო და საკაბელო ტექნიკა (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული და რუსული სექტორები); 4. ელექტრული აპარატები (ქართული სექტორი).

II. სწავლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

Ა) ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. № 64, I კორპუსი, IV სართული, 431 ოთახი).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები. 3. საავტომობილო გზები; 4. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია; 5. წყალმომარაგება და კანალიზაცია 6. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორი).

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ლენინის ქ. № 69, II კორპუსი, II სართული, 218 ოთახი).

1. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება. 2. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები (ქართული და რუსული სექტორები); 3 სამრეწველო ელექტრონიკა; 4. საინფორმაციო გამზომი ტექნიკა; 5. ავტომატიკა და ტელემექანიკა; 6. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორები).

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (რუსთავი, რუსთაველის ქ. № 16).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 3. მაგი ლითონების მეტალურგია; 4. ლითონების წნევით დამუშავება; 5. მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული სექტორები); 6. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება; 7. ლითონმცოდნეობა; ლითონთა თერმიული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (რუსული სექტორები).

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (გორი, საბჭოს ქ. № 37).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. ხიდები და გვირაბები (ქართული სექტორები).

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (თელავი, წრიული ქ. № 22).

1. საავტომობილო გზები; 2. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორები).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ბათუმი, გორკის ქ. № 96).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (რუსული სექტორი).

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ფოთი, მაზარაძის ქ. № 11).

1. ხიდები და გვირაბები; 2. წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული სექტორები).

ᲮᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ხიათურა, კომკავშირის ქ. № 1).

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია; 2. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა; 3. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორები).

Ბ) ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ

(სწავლება ყველა ჩამოთვლილ სპეციალობაზე იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე).

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (თბილისი, ლენინის ქ. № 64, I კორპუსი, II სართული, 226 ოთახი).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. რკინიგზის მშენებლობა, გზა და საგზაო მეურნეობა; 3. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების მეურნეობის ელექტრომომარაგება.

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ-ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (თბილისი, ლენინის ქ. № 64, I კორპუსი, II სართული, 210 ოთახი).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (სოხუმი, ჭანჭავა I შეს. № 13).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში მიღების წესები ივივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის. დღის განყოფილებაზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

არქიტექტურის ფაკულტეტზე შემსვლელნი: მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ხატვა, ბაზვა, მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი).

საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე: მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიულ ფაკულტეტებზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი) ფიზიკა (წერა).

ყველა დანარჩენ ფაკულტეტზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა).

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ ამავე საგნებში, რაშიაც დღის განყოფილების სათანადო სპეციალობაზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალურ და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის დადგენილ მხოლოდ ერთ-ერთ საგაწმ აბარებენ: არქიტექტურის ფაკულტეტზე — ხატვაში, საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე — ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე—ქიმიაში (ზეპირი), ყველა დანარჩენ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე — მათემატიკაში (ზეპირი). გამოცდის „ხუთიზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდებს სხვა ყველა შესაბამის საგნში.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება (ბლანკი დადგენილი ფორმით, გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში); 2. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 3. დახასიათება, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. ამ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, კოლმეურნეობისათვის კალენდარულ წელზე დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით. სამუშაო სკოლის დამთავრების მომლევნო წლებში, უმაღლეს სასწავლებელში დღის განყოფილებაზე შემსვლელებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 6 თვიანი სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ. 6. ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4